# ეშმაკის მათრახი

იუმორისტული ჟურნალი № 7

13 თებერვალი, 1911 წ. ფასი 10 კაპ.

უფასო კვირეული გამოცემა

1173

ქართული „ნაციონალური „გვარდია“

სატირალი იქნებოდა,
საცინელი რომ არ იყოს,

როდეს ჩვენთა „გვარდიელთა“
დაინახავ ომს საბრიყვოს.

პოგრომით და ბაქი-ბუქით,
სურთ სომხები დააშინონ

და „უპრავის“ სავარძელში
კაცი თვისი ჩააძვრინონ.
ვერ ამჩნევენ, რომ ეგ „ბრძოლა“
მათხოვრობას უფრო ძაჰგავს
და იმათი კანდიდატი
მოშავფერო სომხებს წაჰყავს.
მაგრამ ამას რას დასდვვენ
ყიზილბაშნი პრესის ჩვენის:
ქართველი რომ „გაიყვანეს“
მათხოვრობის აღარ სცხვენის.

— კი.

## ᲒᲝᲠᲬᲢᲘ.

სადაც იყო სულ ერთია,
ვინ დაეძებს ამას განა,
მხოლოდ იყო ერთ სოფელში
ერთი გლეხი ალმასხანა.
თუმცა გლეხი, ზოგიერთი,
გამოდგება იმისთანა,
რომ თავადსაც ორს იყიდის
სურვილი თუ მოეფხანა,
მარა ჩვენი ალმასხანა,
როდი იყო ასე დიდი,
სულის სარჩო არ ებადა,
არამც თუ რამ გასაყიდი.
არც ეცვა და არც ეხურა,
სულ შიოდა, სულ სციოდა.
ნადგამობა ფაცხა ჰქონდა,
იგი იყო მისი ოდა.
არ გააჩნდა საქონელი,
გლეხობაში მოსახმარი,
მხოლოდ ერთი ღორი ყავდა
უპმელობით კუდ წამხმარი.
რასაც ხედავთ, აგი იყო
მისი ავლა და დიდება,
არ ითქმოდა ერთი სიტყვით
მისი ცოდვის გადიდება.
შეევედრა ერთხელ უფალს:
—„დიდებულო, დიდო ღმერთო,
შენ იმითი რას წაიგებ,
ცოტა რომ წამოვიკეთო?!
მცირე მიწა გამაჩნია,
მიწად კი საუკეთესო,
და მომეცი უღლად ხარი,
რომ მოვხნა ის და მოვთესო!.
ბრძანებ ერთს და ასრულდება
სიტყვა სიტყვით შენი ნება,
სხვა ხომ არა დაგეხარჯვის,
მხოლოდ ენის გაქანება.!
თორემ გავწყდი, აღარა ვარ
აღარც გარეთ და არც შინა
გაღმომხედე, მეუფეო,
რომელი ხარ ცათა შინა!“
შეისმინა მაღლით ღმერთმა.
სთქვა: „ნეტარ არს კაცი წმინდა,
რომ იხილოს იმან ღმერთი“.—
და გლეხს მაღლით მოუვლინდა
უთხრა: „რაც რომ შემეხვეწე,
შეგისრულე, გაძლევ ხარებს,
გაისარჯე, მოხან, სთესე
და ნაშრომი გაგახარებს!
თან ანდრიას, შენს მეზობელს,
უმწეოდ არ დავარჩენო,
მასაც ხარი ენატრება,
სწორედ ისე, როგორც შენო.
და ვინ იცის, რომ არ წახდეს
საქმე თქვენ ორს შუაშიო,
მასაც ვაძლევ უღლად ხარებს...
როგორმოგდის ჭკუაშიო?“
არ იამა გლეხს და უთხრა:
„ოღონდ მას ნუ აძლევ ხარსო,
და მე, სულიც რომ ამომძვრეს,
არ წავიყვან ნათხოვარსო.“
გაუკვირდა ღმერთს იმ გლეხის
ამოდენა გულის ტკენა
და რომ კარგათ გამოსცადოს
აგი კითხვა დაუყენა:
„ფრიად კარგი, ხარს შენ მოგცემ,
მარა, ჩემო ალმასხანო,
ანდრია რომ შეგეხვეწოს,
არ ათხოვებ ხანდახანო?“
— თუ მე მაძლევ დიდო ღმერთო,
ჩემს ნებაზე მყავდეს ისო,
თორემ სხვამ რომ ისარგებლოს,
ეს მოცემა ეღ აღარ ღირსო.“
ბრძანა ღმერთმა: „ალმასხანას
სძულებია ანდრიაო,
და ერთობის წესი მათში
ჯერ, როგორც ჩანს, ადრეაო.“
სთქვა და ზურგი შეაქცია,
იმ სულ ბოროტ ალმასხანას,
ამაღლდა და ზეცით რისხვით
გადმოხედა ამ ქვეყანას.

ა. ბლიკვაძე.

# ეშმაკის კალენდარი.

**თებერვალი.**

ათას ცხრაას თერთმეტმა წელმა პირველი შვილი საუკუნო სამარეს მიაბარა!

უდროოთ გარდაიცვალა ჯერ კიდევ ძალ-ღონით აღსავსე ახალგაზრდა, **იანვარი**. ვინ იცის რამდენი საიდუმლოება წაიღო თან, ვინ იცის რამდენი სურვილი, რამდენი კეთილი განზრახვა ჩაიკლა გულში და თან ჩაიტანა საუკუნო სამარეში?

მისი კანონიერი მემკვიდრე, მისი მკვიდრი ძმა ბ-ნი თებერვალი, ჯერ-ჯერობით სრულს იმედებს იძლევა: კვალ და კვალ მისდიოს განსვენებული ძმის ნაანდერძევს, და თუ კვლავაც ამ სიმტკიცით იარა, თუ დანაბოლოს პირმოთნე მარტის ზეგავლენით აღთქმას არ უღალატა, მოსალოდნელია, შემდეგ საყურადღებო შემთხვევათა მომსწრე გავხდეთ.

—

უპირველეს ყოვლისა, ამიერ კავკასიის რკინის გზა საბოლოოთ გადასწყვეტს: „უმჯობესია, ვიდრე რკინის გზებზე თოვლის წმენდაში ამდენი ფულები ვხარჯოთ, მატარებლებს **თხილამურები** დავაკრათ ბორბლებზე და ისე ვაჩანჩალოთო *).

—

კახეთის რკინის გზის ინიციატორი, თავადი ჩოლოყაშვილი, მეორე ლექციას გამართავს ამავე გზის შესახებ, რომელზედაც გიგო დიასამიძე... (აბა, როგორ შეიძლება ითქვას ბ-ნი გიგო დიასამიძე რას იზამს! ეს ყოველგვარი წინასწარმეტყველური ნიჭის შეძლებას აღემატება).

—

ქუთაისში ჭორებს გაავრცელებენ: „თფილისში იმიტომ არ მოდის დიდი თოვლი, რომ სამხედრო წესები არ მოუხსნიათ და ეშინიაო“, ამის გამო ზოგიერთი დურმიშხანები შუამდგომლობას აღძრავენ: შემოღებულ იქმნას სამხედრო წესები. რასაკვირველია, ხალხის საკეთილდღეოთ.

—

ცნობილი „კაპიტან ოტ ვპეჩატლენიი“ ბ-ნი ტყავაძე მისალოც დეპეშებს მიიღებს ბათუმელ ახალგაზრდა ოსმალთაგან სამშობლოსათვის თავგანწირული ბრძოლით „საგამგეობო სავარძლის“ აღებისათვის.

—

მუნიციპალური საკითხის მცოდნე, ბ-ნი ჯაბარი, წინადადებას შეიტანს ქალაქის საბჭოში, რომ ორივე რაზმს, ვირთაგვათა წინააღმდეგ საბრძოლველათ გამოწყობილს, განაგებდეს „კაპიტან ოტ ვპეჩატლენიი“ ბ-ნი ტყავაძე. საბჭო დიდის სიამოვნებით დაეთანხმება ამ წინადადებაზე და შავ ჟამსაც სამოქმედო ნიადაგი დაეკარგება.

—

ცნობილი საზოგადო მოღვაწე —**კი**, რომელიც ხანდისხან ჩვენს ჟურნალში თანამშრომლობს საინტერესო მოხსენებას წაიკითხავს თფილისელ ექიმთა კრებაზე. მოხსენება, რასაკვირველია, შავ ჟამთან ბრძოლას შეეხება. მისი აზრით, ვირთხების მოსასპობათ საჭირო იქნება:

ა) გაიმართოს ლექცია რომელიმე პროფესორისა ქალთა უმაღლეს კურსებიდან, (თუნდაც „სიცოცხლის ღირებულების“ შესახებ).

ბ) ამ ლაქციაზე უბილეთოდ შეუშვან ყველა ვირთაგვები.

გ) როდესაც ვირთაგვებს ლექტორთა სიტყვებზე ტკბილათ ჩაეძინებათ, მიუსიონ იქვე ჩასაფრებული რაზმი ტყავაძისა და ამოჟლიტონ *).

—

მოსალოდნელია ფოთის ქალაქის თავი ნიკო ნიკოლაძე მძიმე ავათ გახდეს ჯავრისაგან, რადგან დიდი თოვლის გამო პეტერბურგისკენ მიმავალი გზები შეიკრა და აგერ მეორე კვირაა იქ არა ყოფილა.

ასეთსავე ბედს უნდა მოელოდეს ბათუმის თავიც.

—

მოსალოდნელია, თუ რასაკვირველია, გადამთოლავი მუშები ვერ იშოვნეს, მძიმე თოვლისაგან ჩამოინგრეს ოზურგეთის რეალური გიმნაზიის იდეალური შენობა **).




*) ამ საუცხოო თხილამურებს, რაღა ლაპარაკი უნდა, ჩვენი ნიჭიერი „ედისონი“ ბ-ნი სტუდ. ახმეტელაშვილი გამოიგონებს და სიმაგრისათვის (მსგავსად მის მიერ მოგონილი საფრენისა) სამი ცენტრი ექნება.

*) განზრახვა ჩინებულია, თუ რასაკვირველია, საქმე ორგანიზაციულათ მომწყობი ისეთი დაურჩა, როგორიც ყველასაგან კარგათ ცნობილი თედორე დოლიძეა.

—**კი**.

**) სანუგეშოთ ისიც გვეყოფა, რომ ქვეშ არავინ მოჰყვება.

## ჟამსა მოწყენის.

(გუძდვნი ტ. ტაბიძეს).

И скучно и грустно
и нѣкому руку подать,
въ миниту душевной
невзгоды.
Лермонтовъ

ტიალ მინდორზე, ლაჟვარდ ცის ქვეშ
ვიწექ, მეძინა...
არსით ხმა... არისთ სირთა სტვენა...
სდუმდენ ფრინველნი...
მწუხრის ზეწარი ცხელარივით
გულზე მეფინა,
ფსალმუნს ნაღვლიანს მიგალობდენ
ნიავნი ნელნი.

—

სულის ლტოლვათა მეგობარო,
ჰოი, ასულო,
ამ დროს შენ მოხველ, შენ ესტუმრე
ჩემსა ობლობას;
ჩურჩულით მითხარ: „გაიღვიძე“
ყრმაო ტანჯულო,
მე შეგიყვარებ... ფრთებს შევასხამ
შენს მოღლილ გრძნობას.

—

შორს გაგიტაცებ, აყვავებულ
ოცნების მხარეს,
იქ, მიგისვენებ ჩემს გულ-მკერდზე,
მე გეტყვი ნანას;
ნაზის ალერსით თვალთ შეგაშრობ
ცრემლებს მდუღარეს,
ტურფა ედემად გარდაგიქცევ
პარტახ ქვეყანას.

—

და“... გამეღვიძა... აღარ სჩანდი...
თვალთ მიმეფარე...
ჰმუნვით შევხედე შორს გაწოლილ
ღრუბელს, გაცრეცილს,
იქ დავინახე ცის ვარსკვლავი
ნელ მოელვარე,
რომლის ციმციმი, სატრფოვ ჩემო,
ჰგვანდა შენს სიცილს.

—

ჩემო ვარსკვლავო!...
ცათ ნამზირალი,
კვლავ იმავ ცრემლით
მევსების თვალი...

ქუჩიშვილი.

---

## პატარა „ვეფხის ტყაოსანი.“

თვალთა დაიდვა უსტარი „ჩოჩრების“ მონაწერია:
პასუხად ვერას ახერხებს, სიბრაზე შემოერია,
სურს გაასაღოს გინება ერთი, ან ორი ღერია
და სხვისა წიგნში „კულტურას“ სიბრიყვე ჩაუწერია...

—

გიორგი და ლომი პართენ ორნივ ერთგან შეიყარნეს,
მტრის საფრთხობლათ მოგრძო სტოლზე შავ-მელანი
დაეღვარნეს,
გარდეხვივნენ ერთმანერთსა, ნახვა დიდათ გაეხარნეს,
სთქვეს: „გიგუშკა რა იქნაო?“ მისად ჰვრეტად თვალნი
არნეს.

—

ყელში რომ სწვდა შვა თეატრში, „შმაგიაო“ ესე სთქვესა.
მუნ მიმართა მკლავ მაგარმან, სითაც იგი წავიდესა.
ბროლ ბადახში ჩაალეწა ვით ვარდსა და პირათ მზესა,
ირგვლივ ხალხი უამრავი ჩუმათ ჰვრეტდეს, წყნარად დგესა.

—

შენ, მათრახო, მოქნილი ხარ, ქვეყნისათვის დადებული,
შინდის ტარი, ტყავის კუდი, ზურგისათვის მზადებული,
შიგ მავთული ჩაქსოვილი, შვა შაწვდილი, შადებული—
ვერა გასძლოს, თუ რომ უქმად დიდხანს იყოს დადებული.

—

ქალმა სთქვა: „ჩემი ცმულობით სწორედ ვარ მოსაწონები:
თავს დიდი კოთხო მხურია, მკერდი მაქვს ანაკონები,
წელზედ კორსეტი, ფეხები ბორკილით შენაკონები,
თანაც სანდომათ ვირხევი, ზე თავში არას მქონები.

—კა.



# დეპეშები.

**ქ. თელავი.** სოფელ აწყურის სკოლის მასწავლებლებმა საუცხოვო ხერხი მოიგონეს. რადგან საათი არა აქვთ, სკოლისთვის ერთი ხმოსანი *) მამალი შეიძინეს. აი ამ მამლის ყივილზე იწყებენ და ათავებენ სწავლას **).

**იქიდანვე.** ქარ-ბუქის გამო კახეთის რკინის გზაზე მიმოსვლის შეწყვეტამ, დიდ საგონებელში ჩააგდო ადგილობრივი თავად-აზნაურობა, რომელთაც მამული გასაყიდათ გამზადებული ჰქონდათ და მხოლოდ მუშტრებს ელოდენ.

**იქიდანვე.** მიუხედავათ სასტიკი ყინვებისა, ანიკოს სკოლაში სოკოები სცენის მოყვარეებსავით ***) იზრდებიან.

**იქიდანვე.** დაინიშნა პრემია! ვინც თელავის ექიმსა და ფერშალს 6 საათზე ფხიზელს იპოვის, მიეცემა თელაველი პოეტის, ძამუკოვის, ლექსთა პირველი ტომი. დიდი, მაგრამ უნაყოფო ძებნაა!

**კურდღელაური.** რადგან ჩვენი სოფლის შემოერთებით თელავის ხმოსნებს მარცხი მოელის, განზრახულია მისი აფეთქება.

**თელავი.** ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში გაიხსნა თავისუფალი ადგილი დეპეშათა დამტარებლისა. მსურველი კუტი, ან უკიდურეს შემთხვევაში, კოჭლი მაინც უნდა იყოს.

**იქიდანვე.** ამ დღეებში ამოჭრილმა ქარ-ბუქმა მოიტაცა ქ. თელავის თავი. თუმცა შეუძლებელია ამგვარი თავი ძველ გალავნის პროგიმნაზიას გასცილებოდეს, მაგრამ მეტი სიფრთხილისათვის მაინც გამოიწერეს თფილისიდან ცნობილი პოლიციელი „დიანა“.

ძეძვის ეკალი.

**სოფ. დიდი ჯიხაიში.** გიორგი ლორთქიფანიძემ გადასწყვიტა: თავისი დიდი სახლი მთლათ დაუთმოს „რაზვლეჩენიეს“. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ბევრს ინტელიგენტ მონარდ-მოკარტეს გაუჩენს საქმეს და „მახათის“ მარცხისაგან დაიფარავს.

**იქიდანვე.** სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ახლო მომავალში ე. ი. მეოცდახუთე საუკუნეში, ჩვენი სოფლიდან „სტრაჟნიკებს“ გაიყვანენ, რაღა თქმა უნდა, ბოქაული ალხაზიშვილის შუამდგომლობით.

**იქიდანვე.** მოსალოდნელია ჩვენს დაბაში პორტუგალიის ამბები გამეორდეს, ვინაიდან სამამასახლისოდ განმზადილნი: თავადი ნიკო და თომა კახაძე, ორივე გაამავეს.

**იქიდანვე.** ადგილობრივ ინტელიგენციის ჯგუფმა საბოლოოთ დაადგინა 7 დღით შეამოკლოს საღდგომო „ვიზიტების“ ვადა; სამაგიეროთ აირჩია კომისია, რომელსაც ევალება თვალ-ყური ადევნოს კედლის კალენდარს და თავის დროზე აუწყოს ჯგუფს, თუ რომელი „ზუბრი“ რა დღეს იხდის თავისი სახელწოდების დღესასწაულს.

ჭოტი.

**ქუთაისი.** ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სადაც ჯერ არს, რომ ახლად დაბადებულ ორ-თავიან ბავშვს ჩამოერთვას ერთი თავი ქ. ქუთაისისათვის.

**ფოთი.** ერთ-ერთ ფოთის გამგეობის წევრს თხოვნით მიუმართავს ნიკო ნიკოლაძისათვის, რომელშიაც უმორჩილესად სთხოვს: თუ ვინიცობაა ბ-ნი კოკჩაევი გადადგეს თფილისის ქალაქის გამგეობის წევრობიდან, ეს ადგილი მე მომეცითო. ნიკომ ამაზე, თურმე, უპასუხა: ეს ჩემი საქმე არ არის, აგი პართენ გოთუასი და კაპ. ტყავაძის საქმეაო“. ვნახოთ!

*) ხმოსანი, კარგი ხმის მქონეს ნიშნავს და არა იმ პირებს, რომლებსაც თელავში „გლასნებს“ ეძახიან.

**) ალბათ ძლიერ ყოყოჩობს ვგ მამალი, როცა მასწავლებლებიც კი იმისი ჭკუით დადიან.

***) ცხადია ტელეგრაფმა აურია ერთმანეთში სოკოები და სცენის მოყვარეები. ალბათ უნდა იყოს „სცენის მოყვარეები სოკოებსავით იზრდებიანო“.

ეშმაკი.

# სანადიროთ.

„მომავალ კვირიდან შეუდგებიან ტფილისში ვირთაგვების ყლეტას. იმუშავებს ორი რაზმი.“
; სახალხო გაზეთი‘‘

სანადიროთ განვემზადე,
ავიკიდე ზურგზე „მახე“..
ვთქვი: „თუ ქალაქს ქვემძრომთაგან
დღე ადგია სავაგლახე,
რაღათ მინდა თავი, ვირთხებს
არ მოურწყო ცრემლით სახე“.
კარზე გვადგას „შავი ჟამი“,
„თეთრი ჟამი“ თავზე გვაწევს,
და რათ უნდა ეშმაკს „მახე“,
თუ, ხალხს შველას არ დააწევს?
ვსთქვათ, ვირთხების ეშინია,
თაგვს ხომ მაინც გამოამწყვდევს?!
მაგრამ, უნდა მოგახსენოთ,
არც ვირთხების მომდევს შიში,
სად ბუდობენ უდარდელათ,
რომელ მდიდარ ბეღლის ძირში,
და რით უნდა მივიტყუო
ვიცი ამის ანგარიში.
მე ლექცია არ მსმენია
ალექსანდრე ხატისოვის,
მაგრამ ვიცი ვირთაგვები
სად ბუდობენ და რა სოის...
და ერთი რომ დავიპირო,
მეტი არც მე მამეთხოვის.

**გამოსვლა პირველი.**

ამ კეთილი განზრახვებით
ავიკიდე ჩემი მახე,
ჩავიარე ვერის ხიდი,
„ნადიროვკა“ გადავლახე...
(წვერზე ყინვა დამეკიდა,
ქარი ჰქროდა იმზომ მკვახე)
მუნ მინდორი ავირჩიე,
და საწყობი სასურსათო,
ინტენდანტურს ეძახიან...
ვირთხები ყავთ ბეჭებ ფართო,
(თუმცა მათზე ნადირობა
საშიშია, სახიფათო).
გამოვკიდე „მახეს“ ჩექმა.
გაძინთული ღორის ქონით.
(კეთილ სურნელებისათვის
ოსტატურად მონაგონით!)
და ჩამოვჯექ იქვე ახლოს
მოსხლეტილი ძალით, ღონით.

ბედი ჩემი... არ დამჭირდა
დიდხანს ჯდომა და ლოდინი...
ვხედავ მოდის... მოდის ვირთხა
გაბერილი, როგორც ზვინი,
შევხედე და გამინთლდა
მილეული თვალის ჩინი.
ტუჩებს ისე აცმაცურებს,
თითქო ქონის ეგრძნოს სუნი,
ტანზე თექა წამოესხნა,
ახალი, არ განახუნი...
და მახისკენ მოხოხავდა
მუცლის მიწად მახახუნი.
ულვაშები დაეგრიხა
სავაჟკაცოდ, მოხდენილათ,
ორი ყური, მოფართოო,
ჰქონდა აწვდილ-აცქვეტილათ...
შეხედავდი, შეატყობდი,
ქურდობაში გამოცდილათ.
თვალი საწყლათ მიენაბა,
მოეპარსა პირზე წვერი,
მახვილი და მოგრძო კუდი
კოხტად ჰქონდა მონალერი,
გარეგნობით, იფიქრებდი
„ძნელიაო დასაჭერი.“
მაგრამ იმან, ცოდვის შვილმა,
არც აცივა, არც აცხელა,
რაკი ვერვინ დაინახა,
ჩექმა დამიმარტოხელა,
შეეხიზნა მახეს, ისე,
რომ ერთიც არ ჩახველა.
ბაგი-ბუგი იწყო გულმა
და დავსტაცე საბელს ხელი,
„მახის“ კარი ჩამოეშო
შიგ მოემწყვდა ვირთხა ძველი...
შავიჟამის მოციქული,
საწყობების „რუხი მგელი“.
შეხტა... ბევრი იფხაკურა,
კბილით დაღრღნა მახის კარი,
თავის მოკვლაც განიზრახა,
(იმზომ თავმოყვარე არი,)
მაგრამ ბოლოს მოიქანცა,
და გადმოსკდა ცრემლთა ღვარი.

გამოვიქეც აჩქარებით,
ჩემი ვირთხით, ჩემი მახით,
და ხატისოვს მივაშურე
მომცინარი პირისახით,
ისიც ტკბილათ მომეგება
და სიტყვებით არა მკვახით:
— ვაქებ თქვენსა ვაჟკაცობას
და თქვენს მახეს, თვალ-ეშმაკურს.
ცხადი არის გამგეობაც
დაგიფასებთ მაგ სამსახურს,
თქვენი ვირთხა, რუსულია,
მოგვაგონებს ინტენდატურს.
მათი რიცხვი მრავალია,
სანოვაგის ხრავენ გორებს...
რუსეთს მათგან ვერვინ გასწმენდს,
მახით ვერვინ მოაშორებს,
მათზე ნადირობის ნება
აქვთ მარტოკა სენატორებს“.,
რას ვიზამდი... გამოვუშვი
ვირთხა, სიმწრით დანაჭერი,
ვერც მივიღე სასყიდელი
„უპრავისგან“ ვერაფერი
და წამოველ მობუზული,
ეშმაკის არ მედო ფერი.

—

იქით კვირას კვლავ გამოვალ
ჩემი მახით, სანადიროთ,
ერთი ვირთხა, იქნებ მაშინც
ვიპოვოთ და დავიჭიროთ.

ეშმაკი.

---

# სამაგალითო ქართველი.

(ანუ გაუფრთხილებლობა მეტის სიფრთხილით).

1 თებერვალს, დილით, მოულოდნელათ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ქველმოქმედი სერაპიონ კუჭაძე. იმავე დღეს, სადილობისას, გული შეუწუხდა და უგრძნობლად დაეცა მეორე ქველმოქმედი ქართველი, ხარიტონ მარცველიშვილი. იმავ 1 თებერვალს, საღამოს, დამბლა დაეცა უწარჩინებულეს საზოგადო მოღვაწეს და ქველმოქმედს კლიმენტი ქურდიანიძეს.

„სახალხო გაზეთი“ ამ ამბავმა დიდს საგონებელში ჩააგდო. მას ვერ აეხსნა მიზეზი ასეთი მოვლენისა და მიდრეკილება ჰქონდა სამწუხარო მოვლენა უცხოთა ავი განზრახულებით აეხსნა.

გამოირკვა სრულიად წინააღმდეგი.

იმავე დღის „სახალხო გაზეთში“ მოთავსებულია „წერილი რედ. მიმართ“ ბ-ნი ია ეკალაძე—ცინცაძისა. ამ წერილში იგი აცნობებს ქართველ საზოგადოებას:

„გასული თვის 15 იანვარს *) დავასრულე რა სწავლა ყაზანის უნივერ-იტ-ტში და დავბრუნდი რა სამშობლოში, მოვალედ ვრაცხ ჩემს თ-ვს ულრმესი მადლობა გამოაუცხადო წ. კ. გ. საზოგადოების გ მგეობას სტიპენდიის დანიშვნისათვის და ვთხოვ ამიერიდან სტიპენდია იგი ჩემგან განთავისუფლებულად იგულვოს“.

ეს გულკეთილობა ბ-ნი ია ეკალაძე—ცინცაძისა, ვგონებ პირველია ქართველთა შორის და გამოწვეული იმ მოსაზრებით, რომ წ. კ. საზოგადოებამ სამსახურის დროსაც არ უგზავნოს მას სტიპენდია, როგორც ამას შვებოდა ბ-ნი სარაჯიშვილი ერთი სენაკელი, თუ აბაშელი, ექიმისათვის.

ყოველ შემთხვევაში აქ არაფერი საშიში არ არის და გადაჭარბებულ სიფრთხილეს ახლად კურს დამთავრებული სტიპენდიანტისას არაფერი ხიფათი არ მოჰყვებოდა, თუ რომ ქვემოთ არ დაეწერა:

„მადლობას ვუ-ლვნი აგრეთვე კერძო პირებს და საზოგადო დაწესებულებათ, რომელთაც არა ერთხელ და ორჯელ აღმომიჩინეს დახმარება მათი სახელი და გვარი გამოცხადებული იქნება მაშინ, როცა შევუდგები ჩემი ვალების გადახდას.. და სხ.“

რას იფიქრებდა ახლად კურს დამთავრებული ია ეკალაძე—ცინცაძე, თუ მეტის სიფრთხილით, გაუფრთხილებლობას იქმოდა!

როცა სერაპიონ კუჭაძემ ეს განცხადება წაიკითხა, იმ წამსვე გადაშალა წიგნაკი და ნახა, რომ ია ეკალაძე მისი სტიპენდიანტი არა ყოფილა.

—„მაშ, ჩემ გვარსა და სახელს გაზეთში აღარ გამოაცხადებენო“!—მწუხარეთ ჩაილაპარაკა მან და საუკუნოთ განუტევა ქველ-მოქმედი სული.

ასეთივე ბედი ეწია დანარჩენ ორსავე ხარიტონ მძარცველიძეს და კლიმენტი ქურდიანიძეს **).

აი, ასეთი გაუფრთხილებლობა მოუვიდა ახალ კურს დამთავრებულ მწერალს ია ეკალაძე—ცინცაძეს, მეტის-მეტი სიფრთხილით.

გველის წიწილა.

---

*) ალბათ დეკემბრის 15 იანვარს.

ეშმაკი.

**) კიდევ იტყვით, რომ პრესას ძალა და მნიშვნელობა არა აქვსო? დიახაც რომ აქვს, თუ გამოცდილი ხელი აწარმოებს.

ეშმაკი.

## კნეინა დარეჯანის დარდი.

5 თებერვალს კნიაზი ლუარსაბი ერთობ გვიან დაბრუნდა სახლში სამეურნეო ბანკის დარბაზიდან, სადაც თავად-აზნაურებს მოლაპარაკება ჰქონდა კახეთის რკინის გზის შესახებ.

კნეინა საყვედურით შეხვდა ქმარს.

— რა ვქნათ, ადამიანო, ბევრი სალაპარაკო გვქონდა, ბევრი! აშენებაო, აქციაო, მიმართულებაო... ვინ მოსთვლის!

— უი ქა! ჯერ არ დაგიწყიათ და ახლავ უნდა დააქციოთ? ეს მიმართულება *) რაღა ჯანაბაა, ალბათ სოციალ-დემოკრატები გაერეოდენ შიგა.

*) ცხადია, პატივცემულ კნეინას „აქციებისა“ და «მიმართულების» საქმე „Закав. Рѣчь“-ის ხელმძღვანელ გიორგი ამირაჯიბზე ნაკლებ არ გაეგება.

ეშმაკი.

## სვანეთის გმირები.

### „უცხო“ რაზმი.

სამშობლოის სასახელოთ
შეადგინეს „უცხო“ რაზმი...
დღემდე სვანეთს ამშვენებენ
თოფ-დამბაჩით მონაკაზმი!
პირველ მსხვერპლათ მოძმე დასცეს,
გაუტარეს გულში ტყვია,
მხელა, ქენჯნა სინდისისა,
არც ერთსაც არ შეუტყვია!
განკითხვისთვის არავინ სწუხს...
დღე დღესა სდევს, წელსა წელი,
იმ თავითვე დაეფარა
ბოროტებას მძლავრი ხელი!

ნაცნობი.

## ჯაბარი არჩევნების შემდეგ.

მუნიციპალურ დოვლათისა
ხაბაკ—ხაბარი
მოაქვს, და მოდის დაღვრემილი
ჩვენი ჯაბარი.
ბრძოლა წაავგო „უპრავაში“
სასტიკი, ძნელი...
დააბანინეს სავარძელზე
უდროოთ ხელი.

—ჭი.

---

# მთაზე

(ვუძ. დათიკო მელ—ძე ჩხეიძეს)

აჰა მთაზე ვარ... ჩემს გარშემო დამშვენებული
გადაფენილა ტყე ციურის ცვარ პკურებული.
მის ჩეროებში სირნი მწყობრათ მოჭიკჭიკობენ
და შვების ისარ ნაგებ ჰანგით არეს ამკობენ.
მთის თხემებიდან გადმომსკდარნი ცელქნი წყარონი
მიკისკისებენ ანც შხეფებით გასახარონი;
მთვარე გრძნეული ვარსკვლავთ შორის გედებრ დას-
ცურავს
და სხივთა ჯილას საბაღნაროს ნაზათ ახურავს.
სოფლით ლტოლვილი, ფიქრებითა გარემოცული
მარტოკა ვდგევარ ყურადღებათ გარდაქცეული.
მინდა ვიხილო გათენება რიჟრაჟა დილის
და განვიცადო განქარვება გულის ტკივილის
მინდა ვიხილო...
...მაგრამ ჩუ! ეს ხმა ნაზ წკრიალა
ვისი გაისმა და მიდამოააშრიალა?
ლურჯ-მოკამკამე ტბისა კიდეს ვინმე ასული
მიმოვიდოდა სავსე, მთვარებრ პირ-გაბადრული.
მის თმის კულულებს სიო-წყნარათ აქანავებდა
ღელვილი ვნება მის თვალთაგან სხივებს აფრქვევდა,
სირინოზის ხმით საუცხოო ლექსებს მღეროდა
ნაზი ღიმილით, გრძნეულებით, თვისკენ მიხმობდა.
— ვინა ხარ, ეჰა მშვენიერო, უცხო ქმნილება,
შენი შეხვედრა ამ ყრუ ადგილს რას მეუბნება?
მე რიჟრაჟს ველი გადამდგარი მთისა მწვერვალზე
ჩემი სატრფოა უძვირფასო ორივე თვალზე.
შენც თუ მას ელი, მას უმღერი ციურ სიმღერას,—
ხელს გამოგიწვდი ჰაეროვანს ნათელ მშვენებას
ერთათ დაუხვდეთ ტურფა დილის გათენებასა
ჰიმნი ახალი მივუძღვნათ მის ელვარებასა.
— ხა, ხა, ხა, ხა, ხა—შეუცადოთ გარიჟრაჟსაო
ვით შეუმუსრავს ღამის წყვდიადს შავსა ფრთასაო,
რაში გჭირია რიჟრაჟისა სხივ-ფერადობა
ანუ ბუნების ათას ფერათ ცვალებადობა?
არა, ნუ გინდა, ჩემთან დარჩი, მე შეგიყვარებ
ვნებისა ზღვაზე ოცნებისა ფრთით გაგიტაცებ
ნეტარებისა ქსელს გაგიბამ, თავს მოგევლები
შენსა გულმკერდზე დავემხობი ტრფობით მოვკვდები.
— შორს, ჩემგან მავნე საზიზღარო, მაცდურო სულო,
შენთან არრა მაქვს სატრფიალო, სასიყვარულო,
შვება სიამის არ ვარ მოტრფე და მონატრული
მე რიჟრაჟს ვმონებ, მისთვის ვმღერი ჩანგ მომართული,
იგია ჩემი სალოცავი სატრფო, ღვთაება,
ჩემი მიზანი და გულისთქმის ხორციელება.
სჯობს სხვა მონახო ტრფიალება ვნებით ღელვილი,
ქვეყნათ ბევრია მრუშებისა გრძნობით ტყვევნილი...
ტკბილ ბალსამოსით სავსე თასით მათთან მოსცალე
მე კი... დამეხსენ, საზიზღარო, ჩამომეცალე!..

 დ. თურდოსპირელი.

---

# კაენს.

(ვუძღვნი დ. მ—ს-)

კაენ! მითხარი რა უყავ „ძმასა“?
თითქო „გიყვარდა, გერჩია თავსა“?!.
ფეხთ ეგებოდი ფიანდაზადა,
მისი „სიკეთე“ გქონდა აზრადა.
დღეს საით გაქრა ყველა ესენი?
რას გავს „საგმირო საქმენი შენი?!.
სთქვი, ნუ ყოყმანობ,.. პასუხი მალე,
რწმენა რისათვის გაჰყიდ-გასცვალე?!.
სხვის წამებაზე განცხრომა შენი
რათ დაამყარე, აგი რათ ქენი?!.
რის თვის დაჰგმე იდეა ძველი,
რათ უმტრე ძმასა,—მოჰკალ აბელი?!.
რეაქციისა რომ გადგას ხანა,
ამ „გამარჯვებით“ ამაყობ განა?
მაგრამ ხომ მოვა კვლავ დრო დიადი,—
და განიბნევა ღამის წყვდიადი?
მაშინ შენც, ბილწო, თუ რაც დასთესე
მოიმკი ყველას, გახსოვდეს ესე:
კეთილს კეთილით, ბოროტს კი, ავით
მიუწყვენ ყველას, კუთვნილ საწყავით...
დღეს დრო შენია, იყავ მტანჯველათ:
სიცოცხლეც კმარა შენთვის სასჯელათ...

**საველი.**

---

# შარადა.

კარგათ ვიცი: ამ შარადას
სულ იოლათ გამოიცნობთ:

—

ცხოველია შინაური...
(იმედი მაქვს, კარგათ იცნობთ)
მოზრდილ ყურებს აპანტურებს
განუწყვეტლივ შრომობს, იღწვის,
ზამთარია, ყინვა სტანჯავს,..
ზაფხულობით, სიცხით იწვის.
უდიერათ ეპყრობიან,
უზელავენ ჯოხით წელებს,
და მიტომაც (მგოსნისა თქმით)
დაჰღვრის ხოლმე „ობოლ ცრემლებს“.
და აი, ამ ჯიშის ცხოველს
მოაკვეცე კუდი ძირათ.
იმით ბუზსაც ვერ იგერებს
ისე დასთრევს მხოლოდ ჭირათ.
მოაკვეცე მარტო კუდი,
ერთად ერთი მხოლოთ ასო
და მახვილი დოსტაქარის
სხვაგან არსად არ ჩაასო.

—

შემდეგ წადი სამეგრელოს,
თუ თოვლმა არ დაგაბრკოლოს,
იქ ცხოველი მომინახე...
(ვეჭვობ მეგრელს არ ეყოლოს!)
შუბლზე რქა აქვს დაგრეხილი
და ნიკაპზე გრძელი წვერი...
(თუ საწყენათ არ მიიღებთ,
ბლაღოჩინის შესაფერი.)
„განთქმულია“ ის სიდინჯით,
ჭკუითა და მოსაზრებით...
(მე აქ ვამბობ, რა თქმა უნდა,
ჩვენს ხუცებთან შედარებით.)

—

პირველ პირუტყვს, ეგ მეორეც
მიაყოლეთ უკან მწკრივათ
და ამ ორი ცხოველისგან
თქვენ მესამე გამოგივათ.
სულ პატარა, ფერად რუხი,
კუდ ბოძალა, ყურებ ცქვიტა,
(კაკალს ერთობ ემტერება,
გასტკვერს იყოს რა კირკიტა.)
წისქვილების სტუმარია
და ბელლების ბინადარი,
მარშანდლამდე, მთელ რუსეთში,
მას ცხოვრება ჰქონდა წყნარი,
მაგრამ დღეს დრო შეიცვალა:
აუხირდა ერი, ბერი,
რაზმები და მახეები
გაუხშირეს დასაჭერი...
არ ინდობენ საცოდავებს
მოწამე ხართ თქვენაც ამის.
აბრალებენ: „წყაროა
შავი ჭირის, შავი ჟამის.“

**კოლო.**

# სურათი.

მახსოვს შენ მიძღვენ და მეც ხელთ ვიპყარ
ცრემლ მორეულმა სურათი ისა,
იმ დროს გულს შვება შეეთამაშა
ვითა მდინარეს სხივები მზისა...
რასაც ვნატრობდი გარშემო ვსჭვრეტდი,
სატრფოს მიმკობდა მშვენება ცისა,
ჰანგებს მღეროდენ სამეგობროსა
ნაზათ რხეულნი ფოთოლნი ხისა!
მაგრამ ვაიმე, იმ წუთიდან შორს
ყოფნა მიხდება ეხლა ტყვესავით,
იმის მახლობლათ თუ გავლას შევძლებ,
მხოლოდ და მხოლოდ ოცნების ნავით!
სურათი მთრთოლავ ხელით მოძღვნილი
მინდა დაჭრილ გულს სცხებდეს მალამოს,
მინდა... სურვილს კი ვინ შემისრულებს..
ის უძლურია მომესალამოს...

**რ. ლეჩხუმელი.**

---

# მოწერილი:

**სოფელ ხაშმიდან.**

ეშმაკსა ვთხოვ, „მახის“ პატრონს,
ერთი ხაშმსაც გადმოხედოს...
იმედი მაქვს, მრავალს ნახავს
ჯოჯოხეთურს საიმედოს,
ნახავს მწერალს, უსწორ-ბადლოს
„პატრიოტის“ ფერი ედოს,
ვისა გლეხმან ხაშმისამან
სიტყვა მკვახე ვერ შეჰბედოს;
ნახავს მოძღვარს, ნაბახუსარს,
წინ რო ტიკით ღვინო ედოს,
სახარების სიტყვა, მცნება,
შორით, განზე გადაედოს.
და თუ ნახოს ყველა აგი,
თან მათრახიც ეპყრას ხელთა,
გაუსწოროს ანგარიში
პატივცემულ ამ ხაშმელთა.

გარეთ კახელი გლეხი.

---

**თფილისის რკ. გზის სახელოსნოდან.**

ჩვენი ტურფა სახელოსნო
ნაძალადევს უძევს ახლო
და ამბავი შვილთა მისთა
მსურს მოგიძღვნა და გაახლო!
რასაც ეშმაკს მოვახსენებთ
ნახევარი მართალია:
—სტოროჟი გვყავს ექიმბაშათ,
როცა ექიმს არ სცალია:
ნიშადურის სპირტით იცის
მან კურნება მძიმე სენის,
(რა ქნას, როცა ექიმბაშებს
ეშინიათ გამოჩენის?)
მოგაყუდებს ბოთლით ცხვირზე
ჟამი გჭირდეს, გინდ ხოლერა
და სულ მალე, სამუდამოთ
დაგიცხრებათ გულის ძგერა.

**ტუხა.**

---

**გურიიდან.**

პატივცემულო ეშმაკო,
რად მოგვანატრე თავია?
ხომ იცი, ახლა გურია
რა ცუდი სანახავია?
საკენი თოვლი დაჰყარა,
(წელს დიდი ჰქონდა ხვავია);
ღრანტე ხევები აღავსო,
სახლს ჩაუმტვრია კავია.
შემა დაგვეწვა, აღარ გვაქვს,
ყინვები გვკრუნჩხავს მწვავია;
სახლებში ვზივართ და გარეთ
ვერ გაგვიყვია თავია.
„პოსტებზე“ ყარაულობამ
დღე დაგვაყენა შავია;
ნება არ გვქონდა მაღლიდან
გვფაროდა სახურავია—
ზევიდან თოვლი გვახრჩობდა,
ძირს ყინვა საწამლავია.
აზნაურთაგან ისმოდა
სიტყვები გულსაკლავია,
ამბობდენ: „წუწკი გლეხები
სულ ყველა მოსაკლავია“..
მამასახლისმა—აღებმაც
გამართეს ჩვენზე მკლავია,
ვისაც გადმოგვკრეს მათრახი,—
აგვაძრეს ზურგზე ტყავია.
„ყარაულობა“ რომ მოსპეს
და დავამშვიდეთ გულია,
კარზე „ბოჩიკი“ მოგვადგა,
იძახის: „მოგვე ფულია,
თუ არა, უნდა წავიღოთ

ნივთი და სამკაულია
შევიდენ, გამოიტანეს
საგები ორი წყვილია...

აგერ „სტრაჟებიც“ მოდიან,
მოუგზავნია მამასა;
რა უნდათ?! ცოტა საქმე აქვთ?!!
ორ მანეთს გვთხოვენ დრამასა.
„ჩქარა, ჩქარაო! მღვდლის არის,
ვერ მიიკლებსო ჯამასა“...
ჩვენ ვეუბნებით: „გვადროვე“.
მაგრამ ვინ სჯერა ამასა.

ეშმაკო! „მახე“, გვიშველე,
იქნებ შიგ ვინმე გაებას,
თორემ ხომ ხედავ არ უჩანს
ბოლო ჩვენს ჭირს და ვაებას!

—ხა.

# სიზმრის ახსნა.

(ჭიათურისთვის)

**წინასიტყვაობა.**

ორმა არშინმა თოვლმა ყოველგვარ სამუშაოს კლიტე დაადო. (თავისუფლად დარჩენ მხოლოდ „კაფეინები“ და საკარტ-სანარდო დაწესებულებანი). მართალია, სახლების გადათოლვა ყოველ მეორ-მეორე დღეს ხდება, მაგრამ ამას თვით სახლის პატრონები კისრულობენ. ამგვარათ, დარჩა მხოლოდ ერთად-ერთი,—ძილი. სძინავთ ღამე, სძინავთ დღე... და ამ ხანგრძლივ ძილს ხომ სიზმრებიც ხანგრძლივი და დაუსრულებელი მოსდევს?

დიახ, სიზმრები, სიზმრები!!

სიზმრებმა ლამის ხალხი ჭკუაზე შეშალოს და ეს მით უმეტეს, რომ უკანასკნელს არ ესმის მისი შინაარსი, არ იცის სიზმრის ახსნა. ან კი საიდან უნდა იცოდეს, როცა ქართული მწერლობა ამ დარგში საგრძნობლათ კოჭლობს? მართალია, ბ-ნმა მიხეილ გაჩეჩილაძემ ქართულ ლიტერატურას ამ მხრივ დიდი „ღვაწლი“ დასდო, როცა სხვა-და-სხვა სისტემის მკითხაობასთან ერთათ, თავის „კალენდარში“ საუცხოოთ შეგვასწავლა სიზმრების ახსნაც, მაგრამ, როგორც თვით ბ. გაჩეჩილაძე ამბობს, ეს „ახსნა სრული არ არის“, ე. ი. მას შევსება ესაჭიროება.

მეც საჭიროდ ვსცანი ამ ნაკლის შევსება და ვეცდები, შეძლების და გვარათ შევავსო.

**გამოკვლევა პირველი.**

**აბაგაროვი** (ბოქაული) ნახოთ, (თუ მან არ დაგინახა), უზომო შიშს მოასწავებს.

**აბაგაროვმა** გნახოს საჩხერეში, ძლიერ ცუდია.

**ასლან-ბეგი** (უბნის ზედამხედველი) ნახოთ „სტრაჟების“ ფულს კრებდეს, ჟრუანტელის მომასწავებელია. ხოლო თუ სიზმარში ფული გთხოვოს, ფრიად სავალალოა და ადრეც აგიხდეს.

**ალექსი ნოზაძის** სამიკიტნო დუქანში შეხვიდე, ცუდია,—კარტის თამაშს გადაეყაროთ. ხოლო მისი მზარეული იხილო მზარეულობდეს, უმეტეს საშიშია: ან ძვალმა, ან საჭმელში ჩავარდნილმა ძუამ დაგახრჩოს.

**მრეწველთა საბჭოს აბანოში იბანაოთ,** „ზარალია“,—ტანისამოსის დაკარგვას და გაცივებას მოასწავებს.

**გლახუა კობახიძე** (დურგალი) ნახო, საწყობის პატრონს ხე-ტყის მასალის „დაბრაკვით“ ემუქრებოდეს, მწუხარებაა,—16-ი ქანქარის ქრთამის გაცემას მოასწავებს.

**გიორგი ვაჩეიშვილთან** მიხვიდეთ გასვრილ-გამურული, აბანოს ბილეთის საყიდლათ (კასაში), კარგია,—მუშათა სიაში ჩაგრიცხავს, და 5 კ—იან ბილეთს მიიღებთ. ხოლო ხელ-პირ დაბანილის მისვლა სავალალოა, მუშებიდან „ფოდრაჩიკებში“ გადაირიცხები, რაიც 20 კ—იან ბილეთის მოცემას მოასწავებს...

**პ—შვილი** ნახო, საზოგადო საქმეებს ემსახურებოდეს, ან სხვა რასმე გპირდებოდეს, ავია, ვინმე მოგატყუებთ...

**„ეშმაკის მახეში“** შეხვიდეთ, საავ-კაცოდ, ან ვინმე ეშმაკეულმა გნახოს, რაიმე „სიკეთეს“ ჩადიოდე, ფრიად სამწუხაროა, მათრახით გაწკეპლას მოასწავებს (სიზმარი ესე ერთ კვირაში ახდების).

**ვინმე მოკლან,** ერთობ ცუდია, რამეთუ მკვლელობა ესე გადაბრალდება ჭიათურელ მუშებს, რაიც მოასწავებს რამდენიმე კაცის დაპატიმრებას.

**ძმ. ოგ—ბის** შავი ქვის მწონელი—ელიზბარი

ნახოთ, სასწორს აუმჯობესებდეს, სავალალოა; წონაში 2—3 ფუთის დაკლებას მოასწავებს.

**მრეწ. საბჭოს საავათმყოფოში** იწვეთ და მსახურნი თავს გეევლებოდენ, ავია. მოასწავებს ულრმეს მწუხარებას და უყურადღებობას მსახურთაგან.

**ვ. ბ—ძე** ნახო ფულიანი, სახიფათოა. ბახუსის გალმერთებას მოასწავებს.

**ს. წერეთელი** ნახოთ, მოიჯარადრეებს ლანძღავდეს, სამწუხაროა. ზოგიერთ შემთხვევაში ფულის დაკარგვას მოასწავებს.

**მკითხავი.**

---

# ᲖᲐᲠᲛᲐᲪᲘ.

(მოთხრობა ს. ავერჩენკოსი).

მიყრუებული ბაღის პატარა სკამზე,ჩემ გვერდით ახალგარზდა უცნობი იჯდა.

ის რაღაცა განსაკუთრებულ სანახაობას წარმოადგენდა, რითაც უნებლიეთ მიიპყრო ჩემი ყურადღება. იჯდა მოკუნტული, მუხლები თვალის სისწორეზე აეტანა და ერთ მუხლზე გადაშლილი წიგნი დაედო. ნელა, ზარმაცად აყოლებდა ნახევრათ დახუჭულ თვალებს წიგნის ფურცელს და როცა გვერდი ჩაიკითხა აღარ გადააბრუნა, წიგნს თვალი ააშორა და სადღაც ცის სივრცეში მიკარგულ ღრუბლის ნაგლეჯს დაუწყო ცქერა.

ნელი ნიავი ხანდ.ს ხან ააშრიალებდა წიგნის ფურცლებს, მოულოდნელად გადააბრუნებდა გვერდებს და ამ შრიალით გამოფხიზლებული ჩემი უცნაური მეზობელი ზარმაცად იწყებდა ახალი გვერდის კითხვას.

მაგრამ ნელმა ნიავმა თან და თან ძალა მოიკრიბა და მცირე ხნის შემდეგ ერთი მობერვით წიგნი მუხლიდან გადააგდო.

მეზობელმა გადახედა მიწაზე გაფენილ წიგნს და თვალებ მილულლუმა თვლემა დაიწყო.

— ყმაწვილო! ეი! ყმაწვილო წიგნი გადაგივარდათ... გესმისთ წიგნი. ჩავსძახე მე და სახელოთი შევანძრიე.

იმან ზარმაცად გააღო თვალები და დამაცქერდა.

— აი წიგნი გადავარდა, წიგნი. განუმეორე მე.

— მაშ საჭიროა აღება, მაგრამ არა ღირს ადგომა; თქვენც ზიხარ... ვინმე გამვლელი აიღებს.

— რატომ; რატომ გამვლელი? გავიკვირვე მე.

ამ დროს წინ ჩამოგვიარა ქალმა, რომელსაც კალათით სანოვაგე მოჰქონდა. მიწაზე დაგდებული წიგნი რო დაინახა, აიღო და სკამზე დასდო.

ჩემმა მეზობელმა თვალები გაახილა და ჩამომილაპარაკა:

— ხედავთ! აკი გითხარით, ვინმე გამვლელი აიღებს მეთქი.

— ნუ თუ თქვენ თვითონ გიმძიმდათ წიგნის აღება?

— თქვენა გგონიათ ადვილი საქმეა?

ერთმანეთს გავებაასეთ.

ჩემს მეზობლათ თურმე ზარმაცი იჯდა, ისეთი წმინდა წყლის ზარმაცი, რომლის მაგვარი ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია.

— მართალი მოგახსენოთ, დაიწყო იმან, ადამიანი ცხოვრებაში ათასგვარი შრომით არის დატვირთული: მან უნდა სჭამოს, უნდა სვას, ტანზე ჩაიცვას, პირი დაიბანოს და თუ მორწმუნეა, კიდევაც უნდა ილოცოს. გარდა ყოველივე ამისა ის კიდევ იძულებულია **იმუშაოს**.

— მაშ თქვენ როგორა ცხოვრობთ? შევეკითხე მე.

— განა ეს ცხოვრებაა! ეს ერთი დაუსრულებელი ტანჯვაა. წარმოიდგინეთ, გუშინ მკერავთან უნდა წავსულიყავი ტანისამოსის დასაკვეთათ... დიახ, ტანისამოსის დასაკვეთათ. უნდა ამოარჩიო მატერია, აიღო ზომა... გიბრძანებს ასწიეთ ხელიო... გაჭიმეთ ფეხიო! აჰ. როგორ მოგწონთ?

— მართლა რომ წამება ყოფილა თქვენი ცხოვრება. თქვენს ადგილას მე უთუოდ თავს შოვიკლავდი.

— განა მე არ ვიფიქრე ამაზე... მაგრამ რამდენი ხათაბალა სჭირია: იქ ლურსმანი უნდა მიაჭედო, იქ ბაწარი მოაბა... ერთი სიტყვით ვიწვალე ვიწვალე და თავი მივანებე.

იმან მცირე ხნით მიაპყრო თვალი ზეცას და წარმოსთქვა:

— დასწყევლოს ღმერთმა, მგონი ღამდება კიდეც. ხომ არ შეგიძლიათ მითხრათ, რომელი საათია?

— ჩემი საათი გაჩერებულია. მივუგე მე.

— დასწყევლოს ღმერთმა ეგ სამასხარო პლანეტა: ტრიალებს ტრიალებს თითონაც არ იცის თუ რისთვის

— საათი აი აქვე მაღაზიაში შეიძლება გავიგოთ, ვუთხარი მე.

— შეგიძლიათ? ალერსიანათ მკითხა მეზობელმა.

— ეხლავ წავალ, გაგიგებთ.

— რო იცოდეთ როგორ მრცხვენია ასე რომ გაწუხებთ. უმჯობესი იქნება ვინმე გამვლელს მოვუცადოთ.

დაბრუნებისას ჩემი ნაცნობი იმავე მდგომარეობაში დამიხვდა

— შვიდს ოცი წუთი უკლია.

— რას ამბობთ! ასემც იმ ქალებს დასდაგავს ზეციერი ცეცხლი.

— ვინ ქალებზე ლაპარაკობთ?

— მე ეხლავ ალექსანდროვის ბაღში უნდა წავიდე, გესმისთ!

— სასიამოვნოა! მეც იქით მაქვს გზა. ერთად წავიდეთ.

მეზობელმა ლმობიერი თვალები მომაპყრო:

— ღვთის გულისათვის! გადამარჩინეთ ამ სატანჯველს. შემდეგ აგინაზღაურებთ, ერთი ორად გადაგიხდით.

— დიდის სიამოვნებით! მე მაინც...

— მაშ აი რა... მესამე სკამზე განაპირა ხეივანში, ახალგაზრდა ქალი იქნება, მტრედის ფერი ქუდით. ის ჩემი საცოლოა. მე ის ძლიერ მიყვარს და იქ დავუნიშნე შეხვედრა.

— კარგი, მაგრამ რატომ თქვენ თვითონ არ მიდიხართ? შეეკითხე ამ ამბით განცვიფრებული.

— მე უმჯობესია აქ მოვიცდი. იცით, მიხვალ დაიწყება კითხვა, გამოკითხვა, არშიყობა... ოჰ, ეს აუტანელი სატანჯველია, აუტანელი. შემდეგ უნდა გააცილო, არა, უკეთესია მე აქ ვიქნები.

— მერე რა ვუთხრა იმ ქალბატონს?

— უთხარით, რომ მე ავათა ვარ, რომ სიცხე მაქვს, ექიმები მახვევია.

— მაინც რომ მოინდომოს თქვენი ნახვა?

— უთხარით, რომ ჩემი ავათმყოფობა გადამდებია... იქნებ შეშინდეს.

მე გამოვეთხოვე.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ... აი ჩემი ადრესი. სასიამოვნო იქნება, თუ მინახულებთ. ჩემს საცოლოს სწორეთ მიუსწრობთ ახლა, სრული შვიდი საათია.

იმან ჯიბიდან საათი ამოიღო.

— მაშ თქვენ გქონიათ საათი?

— დიახ... მერე რა იყო?

— არაფერი... ნახვამდის.!

---

ახალგაზრდა ქალი სწორეთ დინიშნულ ალაგას ვნახე. მივუახლოვდი და მოკრძალებით მივესალმე.

— მე თქვენი საქმროსაგან გახლავართ. ის ავათ არის და მოსვლა ვერ შეიძლო.

— როგორ თუ ავათ? მე ის დღეს დილით დავინახე...

— დილით შეიძლება... მაგრამ ახლა ავათ არის... სიცხე აქვს...

— რა სიცხე? რას ამბობთ...

— დიდი სიცხე, ძლიერ დიდი: ასე 40 გრადუსი.. უნდა გამოგიტყდეთ, რომ წევს კიდევაც.

— ჰმ! ის ყოველთვის წევს, შინ როცა არის მუდამ წევს.

— ძლიერ სწუხდა, ქალბატონო, რომ არ შეეძლო თქვენი ნახვა... გაიკეთა ტერმომეტრი და მითხრა...

— ტერმომეტრი გაიკეთა?

— დიახ... რეომიურისა...

— თითონ გაიკეთა?

მე სირცხვილისაგან გავწითლდი.

— დიახ...

— გრცხვენოდეთ! რისთვის მატყუებთ, რისთვის? ის თითონ არასოდეს არ იზამდა ამას, არასოდეს. ღმერთო ჩემო, რა კაცია! არა, კმარა, კმარა! გადაეცით, რომ ამის შემდეგ აღარ დამენახოს!

— თუ გინდათ შური იძიოთ, მაშ უბრძანეთ რომ დღეში სამჯერ გეჩვენოსთ; ვურჩიე მე. ამგვარი ზარმაცებისათვის ეს საუკეთესო სასჯელია.

ქალს გაეცინა.

— მაშ კარგი. უთხარით, რომ ხვალ დილითგანვე მოვიდეს აქ. აქედან კი მაღაზიებში წავიყვან.

ჩვენ ერთმანეთს გამოვეთხოვეთ.

---

მე ხშირი სტუმარი გავხდი ახალი ნაცნობისა და ძლიერაც დავმეგობრდით.

გუშინაც შევიარე მასთან და ჩვეულებრივათ ტახტზე მწოლიარე დამიხვდა. იქვე ეყარა გაზეთის ნაგლეჯი ქაღალდები და ეგდო პალტო.

ზარმაცმა მოიბრუნა ჩემსკენ თავი და მხიარულათ მითხრა:

— აჰა, თქვენა ხართ! მართალი მოგახსენოთ აგერ ნახევარი საათია მოგელოდებით.

— რა ამბავი, რა მოხდა?

— არ შეგიძლიათ ერთი დიდი სამსახური გამიწიოთ?

— დიდის სიამოვნებით!

— ღმერთმანი მრცხვენია... ყოველთვის გაწუხებთ...

— კარგი ერთი, სთქვით!

— ვიცი, რომ გაგიჭირდებათ.

— თქვენ თქვენი გაჭიანურებით უფრო მიჭირებთ საქმეს. სთქვით რაზე გესაჭიროვებით.

— არ შეგიძლიათ მომაწოდოთ ქოლგა, რომელიც აი იქა ჰკიდია, დერეფანში?

— ნუ თუ გაწვიმთ?

— არა. ეს ოხერი სათუთუნე გადამივარდა კედლისაკენ.

— მერე?

— მერმე ისა, რომ ქოლგის მოღუნული ტარით ამოვიღებ.

— განა უმჯობესი არ არის ხელით გადასწვდეთ?

— თქვენ ეგრე გგონიათ?!

მე ამოვიღე და გადავეცი სათუთუნე.

— ეგ რა ნაგლეჯები გაგიფანტავთ ოთახში?

— გაზეთისა არის. იმ ტუტუც პეტრეს, ეშმაკმა იცის იმისი თავი, საწოლზე დღევანდელი გაზეთი დარჩენია.

— მერე?

— მერე მე მოვედი დავწექი ზედ. შემდეგ ომინდა კითხვა, მაგრამ ადგომა დამეზარა.

— მერე?

— მერე რა;.. აი ასე ვახევდი კიდეებს და ვკითხულობდი. ეს ძლიერ მოხერხებულია, იცით მხოლოდ ფელეტონმა გამიჭირა საქმე, სწორეთ შვაზე ვაწევარ.

მე პირი გავაღე, რომ საყვედურებით დამენელებია ჩემი ახალი მეგობარი, მაგრამ უცებ ვიღაცას საზარელი კივილი მოისმა.

ჩვენ ორივენი შევკრთით და მე მსწრაფლ მივიჭერ ფანჯარასთან.

იქვე, ოცი ნაბიჯის მანძილზე, მდინარეში ჩვენ თვალწინ იხრჩვებოდა ვიღაც უცნობი. საბრალო ხანდის-ხან საზარელის ხმითა ბღაოდა. მდინარის ნაპირზე მხოლოდ ერთად-ერთი ქალი დარბოდა უგზო უკვლოდ, რადგან არ იცოდა რითი დახმარებოდა წყალ წაღებულს.

— კაცი იხრჩვება, გავსძახე ზარმაცს.

ის ელვასავით წამოიჭრა.

— ეჰ, დაწყეველილი! მივარდა ფანჯარასთან. მართლა იხრჩვება... ოი, არამც გადარჩენილა ცოცხალი!

ზარმაცმა სწრაფად გადაიძრო პიდჟაკი და ფანჯრიდან ძირს გადაეშო. მას ისეთი სახე უჩანდა, რომ თუნდ მესამე სართულის ფანჯრიდან გადახტებოდა, მაგრამ საბედნიეროთ მისი ოთახი პირველ სართულში იყო.

ცოტა ხნის შემდეგ მეც უკან გადავყევი და ავედევნე.

ზარმაცი უკვე წყალში იყო. ის გამალებით მიცურავდა შავი საგნისაკენ, რომელიც ღონე მინაღები ბედის ანაბარათ ყურყუმალაობდა.

— ნუ გაინძრევი! რაც შეიძლება ნაკლებათ გაინძერი! გაჰყვიროდა ზარმაცი წყალ წაღებულს.

მე დარწმუნებული ვარ, ამ რჩევას იგი თავისი ჩვეულების გამო აძლევდა, ხოლო თითონ კი გასაოცარს ენერგიასა და სისწრაფეს იჩენდა. ხუთი წუთის შემდეგ კიდევაც გამოვათრიეთ ნაპირზე ძალ მილეული მეეტლე და უგრძნობლათ მიგდებული ჩემი მეგობარი.

მეეტლემ მწარე ცრემლებით იწყო ტირილი, როცა მისი მხსნელი ასეთ მდგომარეობაში დაინახა. ახლად მოსულმა მედუქნემ გაუსინჯა ზარმაცს მაჯა მიაყურადა მისი გულის ცემას, მოიხადა ქუდი და ჩაილაპარაკა.

— მშვიდობით! გაფრინდა ჭეშმარიტი ქრისტიანის სული!

— როგორ თუ მშვიდობით! შევსძახე მე. ეგ შეუძლებელია. ეს მობრუნდება, ჩვენ უნდა მოვახერხოთ იმისი მობრუნება. ძმებო, დამეხმარეთ ოთახში შეტანა; აქვე ცხოვრობს, ამ სახლში.

გაწუწული მეეტლე, დამფრთხალი დედაკაცი, გულშემატკივარი ვაჭარი, ყველანი დავეხვიეთ და ზარმაცი თავის ოთახში შევიტანეთ. შემდეგ პირჯვარი გადაიწერეს და გამოითხოვენ მოძმისათვის თავგანწირულის გვამს. მე მარტო დავრჩი.

ცოტა ხნის შემდეგ ზარმაცი შეინძრა და ეშმაკური თვალები მომაპყრო.

— წავიდნენ? შემეკითხა ის.

— ღმერთო ჩემო! თქვენ ცოცხალი ხართ!! მე კი მეგონა...

— მაპატიეთ, რომ ეგრე შეგაწუხეთ. მე არ მინდოდა დასველებულ-გაწუწული ჩემის ფეხით დავბრუნებულიყავ ბინაზე და ამიტომაც ვიფიქრე: დე ამ სულელებს მკვდარი ვეგონო და ხელით შემიყვანონ მეთქი. მაპატიეთ, რომ თქვენც ეგრე გაგამწარეთ.

რედაქტორ გამომცემელი გაიოზ ჯაჯვაძე.

## გამგეობა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტისა

ხადებს, რომ, **კვირას, 13 თებერვალს**, ქალაქის ატრში, $11\frac{1}{2}$ საათზე დანიშნულია სახალხო უნივერსიტეტის წევრთა **საზოგადო კრება**.
განსახილველია: 1) წლიური ანგარიში,
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება,
3) არჩევნები.

ვრებმა 13, თებერვალს, საწევრო გადასახადი 1 მ. უნდა წარმოადგინონ; 1 მანეთი უნდა წარმოადგინონ აგრეთვე იმათაც, ვისაც წევრათ ჩაწერა სურს; ვინც საწევრო ფულს არ წარმოადგენს, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ფულის მიღება დაიწყება თეატრში დილ. 10 საათიდან.

**ქუთაისის სახალ. უნივერ. გამგეობა.**

---

## თფილისის მომხმარებელი საზოგადოების

## „მოგზაური“-ს

დამფუძნებელნი ამით აცხადებენ, რომ საზოგადოების წესდება დამტკიცებულია მთავრობის მიერ და არა უგვიანეს ოცი დღისა, მოწვეული იქნება დამფუძნებელი კრება. მანამდე კი წევრათ ჩაწერა შეიძლება თფილისის საქონლის სადგურზე, მუშათა არტელის კანტორაში, ვარლამ დოლიძესთან.

3—1

---

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალ

# „ეშმაკის მახე“-ზე

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ თითქმის ყველა ჩვენი ახალგაზრდა მწერალნი.

**მთელი წლით ჟურნალი ღირს 5 მანეთი.**

| | | |
|---|---|---|
| $\frac{1}{2}$ წლით | — — | **2 მან. 50** კაპ. |
| 3 თვით | — — | **1 მან. 50** კაპ. |
| 1 თვით | — — — | **50** კაპ. |

**ცალკე ნომერი 10 კაპ.**

ჟურნალში მიიღება აგრეთვე განცხადებებიც:

**მთელი გვერდი 10 მანეთი.**

$\frac{1}{2}$ **გვერდი 5** „ „

$\frac{1}{4}$ **გვერდი 3** „ „

თვიურსა და წლიურ განცხადებას ფასი რედაქციითან მორიგებით აკლდება.

ყოველგვარი წერილები, აგრეთვე ჟურნალის დასაკვეთი ფული, უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესზე:

Тифлисъ. Типографія Е. Кереселидзе для жур. „ЕШМАКИСЪ МАХЕ“.

ელექტრომბეჭდავი სტამბა ეს. კერესელიძისა გოლოვინის პროსპ. № 43.